საქართველოს
პარლამენტი

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ
საკითხთა კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

N 4965/4-13
15/05/2018

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

2018 წლის 26 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა მოისმინა 2018 წლის საგაზაფხულო სესიის პერიოდისთვის განსახორციელებელი, საზედამხედველო საქმიანობის გეგმის თანახმად დაგეგმილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 2017 წლის შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

აღნიშნული ანგარიშის მოსმენისა და შეჯამების შემდგომ კომიტეტის მიერ გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. დიპლომისშემდგომი უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მდგრადი სისტემის ეტაპობრივი დაგეგმვის მიზნით, შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, სადაც დეტალურად აისახება:
    - სერტიფიცირებისა და რესერტიფიცირების პროცესები
    - უსგ პროგრამების აკრედიტაციის კრიტერიუმებისა და მონიტორინგის დამატებითი მექანიზმები
    - უსგ პროცესში ექიმების სავალდებულო მონაწილეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა
    - საშუალო სამედიცინო პერსონალის რეგულირების მექანიზმები

2. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, იზრდება ე.წ. სადავო შემთხვევების რაოდენობა, შესაძლებელია სარეცენზიო/ექსპერტული დასკვნების მომსახურების ცალკე შესყიდვის განხორციელება.
3. ფარმაცევტული სფეროს განვითარებისა და მოსახლეობის გარანტირებულად ხარისხიანი, უსაფრთხო და ეფექტიანი სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება და „სამკურნალო საშუალებების ხარისხის სახელმწიფო კონტროლის“ პროგრამის ბიუჯეტის გაზრდის საკითხის განხილვა.

4. დიდი მოცულობის სამუშაოს გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, ადამიანური რესურსის რაოდენობის გაზრდა, მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა.

- შესაბამისად, მიზანშეწონილია სააგენტოს (როგორც მაკონტროლებელი ორგანოს) ფინანსური უზრუნველყოფის საკითხების გადახედვა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის“ კანონით გათვალისწინებული კომპონენტის -„სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამის“ გაზრდა, რომლის გათვალისწინებაც მოხდება მომავალი წლის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის“ კანონის განხილვისას.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 237-ე მუხლის თანახმად, გეგზავნებათ კომიტეტის მიერ, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები.

გთხოვთ, რეკომენდაციების გაცნობისა და მიღებული ზომების შესახებ, 1 თვის ვადაში აცნობოთ კომიტეტს.

პატივისცემით,

აკაკი ზოიძე

თავმჯდომარე